საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/19

30 იანვარი 2023 წელი ქ. ბათუმი

,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 27 იანვრის №01-02/13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების (ამავე ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 26 მარტის №07/ნ ბრძანების), ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების,** ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების,** ,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 11 იანვრის № 1.1/3 ბრძანების, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უმაღლესი განათლების პროექტის მართვის მენეჯერის წერილის (MES 223000001.1/3 11/01/2023 წ.), 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 იანვრის №06-01/1 დადგენილების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის 2023 წლის 30 იანვრის MES 3 23 0000096765 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 27 იანვრის №01-02/13 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ'', ,,გ'' და ,,დ'' ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) მობილობის მსურველთა მიერ ათვისებული კრედიტების ბსუ-ს ფაკულტეტის მიერ აღიარება (თავსებადობის დასკვნების შედგენა) - 2023 წლის 10-13 თებერვალი ;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე (თავსებადობის დასკვნაზე) მობილობის <u>მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება,</u> ასევე ელექტრონულად წარმოდგენილი

დოკუმენტაციის **მატერიალური სახით (კანონმდებლობით დამოწმებული ასლების) მიღება და ხელშეკრულებების გაფორმება** - 2023 წლის 14,15 თებერვალი (17:00 სთ. მდე). დოკუმენტაციის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების ადგილის შესახებ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამის ველში;

დ) ბსუ-ში შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემა - **2023 წლის 16 თებერვალი.**"

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით რედაქტირებული ვერსიის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა.
3. ბრძანება საჯარო გამოცხადებისათვის განთავსდეს ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), სამეცნიერო კვლევების სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**